ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N12/58

<u>პენიტენციური სისტემის პოლიტიკის შემუშავებისა და მართვის პროგრამა</u>

გამარტივებული შესყიდვა

ქ. თბილისი **30 დეკემბერი 2014 წელი**

ერთის მხრივ,
საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო
წარმოდგენილი მინისტრის მოადგილის - **ზესიკ დევდარიანის** სახით,
მის: ქ. თბილისი, ს. ეულის ქ. N3,
საიდენტიფიკაციო კოდი: 204564934
სახელმწიფო ხაზინა კოდი: 220101222
ანგარიშის N: 200122900;
(შემდგომში „შემსყიდველი")

და მეორეს მხრივ
შპს „გუდვილი"
წარმოდგენილი გენ. დირექტორის დროებით მოვალეობის შემსრულებლის - **ნუგზარ გაბრიჭიძის** სახით,
მისამართი: ქ. თბილისი, ფარნავაზ მეფის გამზ. N1
საიდენტიფიკაციო კოდი: 206343991
საბანკო რეკვიზიტები: სს „თიბისი ბანკი";
IBAN: GE61TB3615336020100004
(შემდგომში „მიმწოდებელი")

<u>წინამდებარე ხელშეკრლების გაფორმების საფუძველს წარმოადგენს „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" მე-10' მუხლის მე-3 პუნქტის (ვ) ქვეპუნქტის საფუძველზე.</u>

1. გამოყენებული ტერმინების განმარტებები

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1 „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" (შემდგომში-„ხელშეკრულება") - შემსყიდველ ორგანიზაციასა და ბაზრის შესწავლის შედეგად შერჩეულ პირს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე დართული ყველა დოკუმენტით და დამატებით, ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებული;

1.2 „ხელშეკრულების ღირებულება" ნიშნავს საერთო თანხას, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის;

1.3 „შემსყიდველი ორგანიზაცია" (შემდგომ „შემსყიდველი") ნიშნავს ორგანიზაციას (დაწესებულებას), რომელიც ახორციელებს შესყიდვას;

1.4 „მიმწოდებელი" ნიშნავს პირს, რომელიც შემსყიდველთან მოლაპარაკების საფუზველზე, უწევს მომსახურებას მოცემული ხელშეკრულების ფარგლებში;

1.5 „დღე", „კვირა", „თვე" ნიშნავს კალენდარულ დღეს, კვირას, თვეს.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1 წინამდებარე ხელშეკრულება დადებულია საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს საჭიროების დასაკმაყოფილებლად;

2.2 ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს:

- <u>**სამინისტროს ადმინისტრაციული შენობის მერვე სართულზე ალაფურშეტის გამართვა;**</u>
- <u>**CPV კოდი:55330000- კაფეტერიის/სასადილოს მომსახურება;**</u>

3. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება და ანგარიშსწორება

3.1 შესყიდვის ობიექტის საერთო ღირებულება შეადგენს - **3128.09 (სამი ათას ასოცდარვა და 09 თეთრი) ლარს.**

3.2 გადახდის ფორმა – უნაღდო.

3.3 დაფინანსების წყარო: 2014 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი.

3.4 წინასწარი ანგარიშსწორება არ გამოიყენება.

3.5 ანგარიშსწორება განხორციელდება ფაქტიურად გაწეული მომსახურების მიხედვით, მიღება–ჩაბარების აქტის გაფორმების შემდგომ, 30 (ათი) კალენდარული დღის ვადაში.

3.6 ფასების ცვლილების შესახებ ამ ხელშეკრულების მხარემ უნდა შეატყობინოს მეორე მხარეს წერილობით, რომელიც თავის მხრივ უფლებამოსილია არ დაეთანხმოს აღნიშნულ ცვლილებაზე.

4. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

4.1 მომსახურების გაწევა ხდება მიღება-ჩაბარების აქტისა და საქართველოს მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობით გათვალისწინებული დოკუმენტაციის საფუძველზე.

4.2 გაწეული მომსახურების მიღებას აწარმოებს ადმინისტრაციული დეპარტამენტის უფროსის მოადგილე **-თეა პერტაია.**

5.

6. მომსახურების გაწევის პირობები

6.1 მიმწოდებელი ვალდებულია ხელშეკრულების გაფორმების შემდგომ **31 (ოცდათერთმეტი) დეკემბერს 12:00 საათზე უზრუნველყოს სამინისტროს ადმინისტრაციული შენობის მერვე სართულზე ალაფურშეტის გამართვა დანართი N1 შესაბამისად;**

6.2 მომსახურების გაწევა უნდა განხორციელდეს მიმწოდებლის ხარჯით მისამართზე: ქ. თბილისი, ს. ეულის ქ. N3 - საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო.

6.3 მიმწოდებელი ვალდებულია ხარისხიანად გაუწიოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურება, წინააღმდეგ შემთხვევაში განახორციელოს ხელახალი მომსახურების გაწევა.

7. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

7.1 შემსყიდველი შესყიდვის ობიექტის მიწოდებიდან 10 დღის განმავლობაში იტოვებს უფლებას განახორციელოს გაწეული მომსახურების კონტროლი და/ან გამოცდა, რათა დარწმუნდეს მათ შესაბამისობაში ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ტექნიკურ პირობებთან (ინსპექტირება).

7.2 მიმწოდებელი უფლებამოსილია დაესწროს ინსპექტირების პროცესს.

7.3 იმ შემთხვევაში, თუ მომსახურების ინსპექტირებისას გამოვლინდა ნაკლი ან/და დეფექტი, მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველის შეტყობინებიდან 2 (ორი) დღის ვადაში უზრუნველყოს უზრუნველყოს წუნის გამოსწორება.

7.4 მომსახურების მიღებას აწარმოებს ადმინისტრაციული დეპარტამენტის უფროსის მოადგილე **-თეა პერტაია.**

8. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

8.1 არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება ორივე მხრის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა.

8.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

8.3 ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, დაუშვებელია გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის და ამ დებულების მოთხოვნათა გათვალისწინებით.

8.4 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

9. უფლებების გადაცემა

9.1 მიმწოდებელმა შემსყიდველის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე, არც მთლიანად და არც ნაწილობრივ არ უნდა გადასცეს მოცემული ხელშეკრულებით არსებული თავისი ვალდებულებები მესამე პირს.

10. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

10.1 ფორს-მაჟორული პირობების გარდა, ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან შესრულების ვადის გადაცილებისათვის მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა, - ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0.1%-ის ოდენობით.

10.2 იმ შემთხვევაში, თუ ვადების გადაცდენისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 1%-ს, შემსყიდველს უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება.

10.3 საჯარიმო სანქციის გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

შემსრულებელი: _____

11. ხელშეკრულების შეწყვეტა მისი პირობების შეუსრულებლობის გამო

11.1 შემსყიდველს შეუძლია მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს ხელშეკრულება, მიმწოდებლისათვის ვალდებულებების შეუსრულებლობის წერილობითი ეტყობინების შემდეგ:

11.1.1 თუ მიმწოდებელს არ შეუძლია შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული, რომელიმე ვალდებულება.

11.1.2 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

11.2 შემსყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ აგრეთვე:

11.2.1 თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

11.2.2 მიმწოდებლის გაკოტრების შემთხვევაში;

11.2.3 საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

12. ფორს-მაჟორი

12.1 ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.

12.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლისა ან/და მომსახურების მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

12.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

13. სადავო საკითხების გადაწყვეტა

13.1 შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმარონ, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.

13.2 თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადავო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხრეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

14. ხელშეკრულების ენა და შეტყობინება

14.1 ხელშეკრულება შედგენილია 3 ეგზემპლარად ქართულ ენაზე და თითოეულ მათგანს თანაბარი იურიდიული ძალა აქვს;

14.2 ხელშეკრულების ერთი ეგზემპლარი ინახება „მიმწოდებელთან", ორი ეგზემპლარი - „შემსყიდველთან";

14.3 ნებისმიერი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე, ხელშეკრულების შესაბამისად, უგზავნის მეორე მხარეს, გაიგზავნება წერილის ან/და ელ. ფოსტის სახით, შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემში მითითებული მეორე მხარის მისამართზე;

14.4 შეტყობინება შედის ძალაში ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს ან შეტყობინების გაგზავნიდან მე-3 დღეს იმის მიხედვით, თუ ამ თარიღებიდან რომელი უფრო ადრე დგება.

15. გადასახადები და დაბეგვრა

15.1 ადგილობრივი მიმწოდებელი პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების, მოსაკრებლების და სხვა გადასახდელების გადახდაზე, თუ ხელშეკრულების სპეციფიკური პირობებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

შემსრულებელი: _____

16. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

16.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაშია ზემოთ მითითებული თარიღიდან და მოქმედებს **2015 წლის 31 იანვრის ჩათვლით.**

შემსყიდველი:	**მიმწოდებელი:**
საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო	**შპს „გუდვილი"**
ბესიკ დევდარიანი	ნუგზარ გაბრიჭიძე

2014 წლის 30 დეკემბრის 12/58 ხელშეკრულებასთან

ფასების ცხრილი

№	დასახელება	რაოდენობა	ფასი	თანხა
1	კანაპე ლორით	20	1,80	36,00
2	კანაპე სოკოთი	20	1,80	36,00
3	კანაპე ბოსტნეულით	20	1,50	30,00
4	კანაპე თინუსით	20	1,80	36,00
5	ტარტალეტკა ისპანახით	40	1,50	60,00
6	ტარტალეტკა სოკოთი	40	1,50	60,00
7	პომიდორი ჩერი ხაჭოს ყველით	50	1,00	50,00
8	კარტოფილის კნედლი ზეთისხილით	50	1,00	50,00
9	ბუშე ქათმის სალათით	30	1,50	45,00
10	სოკოს ქუდები ბოსტნეულით	40	1,00	40,00
11	ნიგვზიანი ბადრიჯანი	40	1,00	40,00
12	სალათი ბერძნული ფეტას ყველით	30	2,00	60,00
13	სამეფო კრევეტი ძაძიკის სოუსით	30	2,50	75,00
14	ნიგვზ. სიომგა აფრიკულად შემწვარი (სამარხვო)	30	1,80	54,00
	ცხელები			
15	ბოსტნეულის მწვადი	100	1,00	100,00
16	ღორის მწვადი ჩხირებზე	100	2,00	200,00
17	ქათმის ფილეს მწვადი	100	1,50	150,00
18	კრეპე საქ.ხორცით	40	1,00	40,00
19	კრეპე სულგუნით	40	1,00	40,00
20	მინი ხაჭაპური	40	0,60	24,00
21	მინი ლობიანი	40	0,50	20,00
22	მინი ხორცის ღვეზელი	40	0,70	28,00
	დესერტები, ხილი			
23	ხილის ასორტი თეფშებზე	4	50,00	200,00
24	ტორტი ლოგოთი	1	400,00	400,00
25	მინი ტორტიკების ასორტი	200	1,00	200,00
	სასმელები			
26	წყალი სნო	40	0,40	16,00
27	წვენი ფორთოხალი	8	3,79	30,32
28	წვენი ალუბალი	8	3,40	27,20
29	წვენი ტროპიკი	8	3,79	30,32
30	ღვინო წითელი საფერავი	8	12,50	100,00
31	ღვინო თეთრი წინანდალი	8	9,95	79,60
	გაქირავება			
32	სუფრა	4	20,00	80,00
33	მაგიდა	4	20,00	80,00
34	სადგამები	6	20,00	120,00
35	თეფში	100	0,50	50,00

36	წვენის ჭიქა	100	0,50	50,00
37	ღვინის ჭიქა	100	0,50	50,00
38	ხელსაწმენდი	3	3,55	10,65
39	მომსახურება	5	60,00	300,00
40	ტრანსპორტირება	1	30,00	30,00
	სულ ჯამი:			3128,09

შემსყიდველი:

საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო

ბესიკ დევდარიანი

მიმწოდებელი:

შპს "გუდვილი"

ნუგზარ გაბრიჭიძე

საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო

ხელწერილი ინტერესთა კონფლიქტის არ არსებობის შესახებ

თარიღი: 30 დეკემბერი 2014 წელი

მიმწოდებელი: **შპს „გუდვილი“**

ხელშეკრულების № 12/58

ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილების მიზნით, საქართველოს კანონის „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ მე-8 მუხლს „ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილების პირობები“ ვადასტურებთ, რომ საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს თანამშრომლები ზემოაღნიშნულ მიმწოდებელთან ინტერესთა კონფლიქტში არ ვიმყოფებით, რასაც ვადასტურებთ ხელისმოწერით:

ვიზირებულია:

1. ბესიკ დევდარიანი ----------
2. ამირან ჯებისაშვილი ----------
3. გივი ქემოკლიძე ----------
4. შალვა ჯულაყიძე ----------
5. თეა პერტაია ----------

შემსრულებელი: _____

MCLA 7 14 00813717

29/12/2014

სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის
მოადგილეს, ბატონ **ბესიკ დევდარიანს**

ადმინისტრაციული დეპარტამენტის უფროსის,
ირაკლი ჭოხონელიძის

მოხსენებითი ბარათი

ბატონო ბესიკ,

მოგახსენებთ, რომ 2014 წლის 31 დეკემბერს იგეგმება სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს სისტემის მოსამსახურეთა დაჯილდოება. ამასთან დაკავშირებით სამინისტროში გაიმართება ალაფურშეტი. გთხოვთ, დაავალოთ შესაბამის სამსახურს ზემოაღნიშნული ღონისძიების ფინანსური უზრუნველყოფა.

პატივისცემით,

ირაკლი ჭოხონელიძე
ადმინისტრაციული დეპარტამენტის უფროსი

მიღება ჩაბარების აქტი N12/58-1

ქ. თბილისი 31 დეკემბერი 2014 წელი

ჩვენ, ქვემოთ ხელის მომწერნი,

ერთის მხრივ,
საქართველო სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო
მისი წარმომადგენელი ადმინისტრაციული დეპარტამენტის უფროსის მოადგილე- **თეა პერტაია**
მის: ქ. თბილისი ს. ეულის ქ.N3.
საიდენტიფიკაციო კოდი: 204564934
სახელმწიფო ხაზინა კოდი: 220101222
ანგარიშის ნომერი: 200122900;
(შემდგომში „შემსყიდველი")

და მეორეს მხრივ
შპს „გუდვილი"
წარმოდგენილი გენ. დირექტორის დროებით მოვალეობის შემსრულებლის - **ნუგზარ გაბრიჭიძის** სახით,
მისამართი: ქ. თბილისი, ფარნავაზ მეფის გამზ. N1
საიდენტიფიკაციო კოდი: 206343991
საბანკო რეკვიზიტები: სს „თიბისი ბანკი";
IBAN: GE61TB3615336020100004
(შემდგომში „მიმწოდებელი")

ვადგენთ ამ აქტს მასზედ, რომ მხარეთა შორის 2014 წლის 30 დეკემბერს გაფორმებული N12/58 ხელშეკრულების ფარგლებში, „მიმწოდებელმა" გაუწია „შემსყიდველს": CPV კოდი: 55330000- კაფეტერიის/სასადილოს მომსახურება;

სახელშეკრულებო ჯამური ღირებულება: **3128.09 (სამი ათას ასოცდარვა და 09 თეთრი) ლარი.**

ანაზღაურებას ექვემდებარება: **3128.09 (სამი ათას ასოცდარვა და 09 თეთრი) ლარი.**

შემსყიდველი:
საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო

_____
თეა პერტაია

მიმწოდებელი:
შპს „გუდვილი"

_____
ნუგზარ გაბრიჭიძე